# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 817

დამატების № 146

კვირა, 12 მარტი 1917 წ.


## ახალი მინისტრები

თავმჯდომარე და შინაგ. საქმეთა



გ. ე. ლვოვი.

გარეშე საქმეთა



მილიუკოვი.

იუსტიციის



კერენსკი.

სამხედრო და საზღვაო



გუჩკოვი.

განათლების



მანუილოვი.

მიწათმოქმედების



შინგარიოვი.

ვაჭრობის და მრეწველობის



კონოვალოვი.

გზათა



ნეკრასოვი.

სახელმწიფო კონტროლიორი



გოდნევი.

სინოდის ობერ-პროკურორი



ვლ. ნ. ლვოვი.



სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი

(გარდაცვალების დღიდან 30 წ. შესრულების გამო).

# ჰიმნები სიცოცხლისადმი

## 1 დიდ ქალაქში.

ტრამვაი. ეტლი. ბისიკლეტი და ომნიბუსი.
ფეხის ხმა. სტვენა. თქარა-თქური. რბენა. ფუსფუსი.
თვალები. სახე ჯერ უცნობი და უნახავი,

ქუჩის ყურესთან მეგაზეთის წითელი თავი.
იქ მომღიმარი. ეგერ კიდევ მოხრილი ქედი.
თვალს მოვკრავ, თვალი იკარგება, ირევა სხვაში,—

ვითა ბეჭედი, ტყის დედოფლის ჯადო ბეჭედი,
გადასროლილი ქინკებისგან მღელვარე ზღვაში.
სარკმლის ყვავილნი გასასყიდლად გამოფენილი,

მისჩერებიან ნაღვლიანად გზად მიმავალთა.
ვითა თვალები, მოყვითანო შუქ მიფენილი
ქროლა თვალები, ჰარამხანის ტურფა მხევალთა.

ყოველ დღიურად იმართება დიდი ზეიმი.
სიცოცხლის მეფა გვირგვინდება ზურმუხტის სრაში,
ძოწის ფრად ღებავს ცის ღრუბლებსაც სხივთა ციმციმი

ალვირ-წახსნილი მიმოჯელავს წყლისფერი რაში.
ქუჩის ნაპირზე ელექტრონის ფანრის სვეტები.
ბნელში იკარგვის სინათლისგან ქსოვილი ლარი,

თოვლი იფრქვევა და თეთრ-თეთრი სილუეტები,
დალასლასებენ ქუჩა ქუჩა ვითა სიზმარი.
იწვის გომმორი ელექტრონის ცეცხლში ჩაფლული

სიცოცხლე ჰყივის... ათასთვალა ბრბო დაგანგაშობს...
ღამე ციგია, ვით მეძავი ქალისა გული,
თოვლისა ფიფქი მოცქიალე სხივთან თამაშობს.

ათასთა შორის მარტოობის გულს მიზრზავს შიში,
ამ უცხო გრძნობას მიორკეცებს კაცთა ფუსფუსი...
მიჰქრიან, მივლენ მთვრალ ცხოვრების დიად მეჯლისში:—

ტრამვაი, ეტლი, ბისიკლეტი და ომნიბუსი.

კ. აბაშისპირელი.

# ნიღაბი

ჩამჩურჩულე: „ხვალ საღამოს, უეჭველად,
შავ ნიღაბით, გადაცმული, ნაზად, მწველად,
ჩვენსა მოდი ვერვინ გიცნობ, გეფიცები,
ვიეშმაკოთ, ვაცუღლუტოთ მეგობრები!“

* *

მიხარიან... მოუთმენლად მეჯლიის ველი,
მოვიმზიდე კოხტა კაბა, გულსარტყელი;
ჩემი თმები სუროსავით დახვეული
დავივარცხნე, როგორც ვიყავ დაჩვეული,
შავ ნიღაბით, ვით ჩერია ვტრიალებდი,
სარკის ახლო თავმომწონედ ვცქრიალებდი
და ის იყო გავემზადე წასასვლელად,
რომ გუნება შემეცვალა უცბად, ხელად:
რის ნიღაბი? რად მივდივარ? ვინ იქნება?
ოხ, ყველა ის, ვინც მე მძულს და მეჯავრება!
ვის წინაშეც მუდამ ნიღაბს დავატარებ,
ვისაც ჩემ გულს არ უყადრებ, არ ვაკარებ!

* *

რა ძნელია ზიზღის ნაცვლად ტუჩს ღიმილი,
რა ძნელია ცრემლის ბადლად ყრუ სიცილი,
როცა ჰხედავ შენს გარშემო ლაქიობას,
სისაძაგლეს და საეჭვო მეგობრობას.
მომეწყინა... მთლად შემძულდა ეს სამყარო
მინდა ყველას ჩამოვშორდე, გავეპარო:
აღარ ძალმიძს სულ პირბადით, პირაკრული,
ბრმად და მუნჯად, ფეხაკრეფით სიარული!!

მარიჯან.

# გიორგი მეზარიშვილი

(შემდეგი *)

## IV

მთვრალ კაცსავით ქუჩა-ქუჩა ხეტიალის შემდეგ, გიორგი რომ თავის სახლს მიახლოვდა, გამოერკვია.

— სისულელეა წამოიძახა თავისთვის—რის სიყვარული, რა სიყვარული? დასცინა კიდეც თავსა ასე მოულოდნელად გასულელებისათვის და ამაყად, თავმომწონედ შეაღო ოთახის კარები. ჩაი შემოუტანეს, დალია, რამდენჯერმე ოთახში გაიარ-გამოიარა და წიგნი აიღო წასაკითხად. წაიკითხა ფურცელ ნახევარი, მეორე ფურცელი გადმოშალა და ახალი გვერდის წაკითხვა რომ დაიწყო, მოაგონდა წაკითხულისა სრულებით არაფერი ახსოვდა და ვერაფერი გაეგო. ხელ-ახლა დაიწყო კითხვა და კიდევ ისე დაემართა. თურმე, თავისდაუნებურად, ნადეჟდას ფიქრს წაეღო. დაიწყო ისევ ის ამბავი, რაც გზაში გამოიარა, ისევ ის საკითხები, ისევ ის გრძნობა, ისევ ის სიხარული და სევდა.

— ეროჰა, ახლა კი ცუდად არის ჩემი საქმე. მარტო დაცინვით ვერაფერს გავაწყობ. იქნებ რითიმე გავერთო და თავიდან მოვიშორო... იმ ქალაქში, საცა გიორგი სწავლობდა, სტუდენტების ორი სასადილო იყო, ერთმანეთს ორასიოდე ნაბიჯით დაშორებული. სასადილოსა და სასადილოს შუა საბილიარდო იყო, რომელსაც „სტუდენტების კლუბს“ ეძახდნენ. ამ „კლუბში“ ქართველი სტუდენტები ხშირად დადიოდნენ სადილს შემდეგ. ზოგი სალაპარაკოდ, საბაასოდ ან რამე საქმის გამო ამხანაგთან შესახვედრად, ზოგიც ბილიარდის სათამაშოდ, ჰადრაკისა, ნარდისა.

გიორგი პირველად აქეთკენ გაეშურა. ჰადრაკის თამაშობა დაიწყო ერთ ამხანაგთან. კარგი მოთამაშე იყო გიორგი და ბრძოლასაც თითქმის ყოველთვის იგებდა, მაგრამ იმ დღეს ფიქრები ბურან-შემოხვეული ჰქონდა; ბილიარდის მოთამაშეთა სიტყვები ესმოდა მხლოდ:

— წინა შარი მარჯვნივ კუთხეში.

— ჩემსკენ შუაში.

— სამი ბორებით კუთხეში.

თითონ კი ჰადრაკის თამაშობას გონებას ვერ ადევნებდა; ლაზურის მაგიერ პაიკს გადიოდა, პაიკის მაგიერ მეფეს, მეფის მაგიერ მხედარსა და აგებდა ბრძოლას ბრძოლაზე.

იქიდგან კინემატოგრაფში წავიდა, კინემატოგრაფიდან შუაღამისას ამხანაგს მიადგა. ასე გაატარა გიორგიმ ორი კვირა, მაგრამ ვერ იქნა ვერ მოაშორა გულიდან ნადეჟდას სახე. ამ ხნის განმავლობაში ქალ-ვაჟს ერთმანეთი არ უნახავთ—წრის კრებაზე შეხვედრას გიორგი არა სთვლიდა. არაჩვეულებრივი კი იყო იმათთვის ამდენი ხნის უნახაობა.

ქუჩაში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ეს შეხვედრა წინანდელს არა ჰგავდა. წინად სიცილით ხუმრობით, თავისუფლად მიეგებებოდნენ ერთმანეთსა; ახლა კი მოკრძალებით მიესალმნენ, უხერხულობასა ჰგრძნობდნენ, სცხვენოდათ და ურთი-ერთ თავისუფლად ვერ უცქეროდნენ. ერთი-ორჯელ თვალი-თვალს გაუსწორეს, მაგრამ ისევ უცებ მოაშორეს.

გიორგიმ ამ შეხვედრის დროსაც ბევრი რამ ახალი შენიშნა ქალსა: ლაპარაკის კილო არაჩვეულებრივად ნაზი ჰქონდა, ხმა ცოფათი უკანკალებდა, მეტადრე ახლად რომ შეხვდნენ, მაშინ. ღვთის წინაშე, თავის თავსაც ბევრი რამ შეამჩნია. ჯერ დაინახა თუ არა ნადეჟდა, ალელდა, სახე გაუფითრდა, მუხლები მოუდუნდა, ხმა აუკანკალდა და დიდი ცდა დასჭირდა, რომ თავი დონეზე დაეყენებინა... ერთმანეთს მალე გაშორდნენ, ბევრი არაფერი ულაპარაკნიათ.

— სად მიხვალთ.

— როგორ ხართ.

— ამ ბოლო დროს რატომ აღარა სჩანხართ.

ყოველ შეხვედრის დროს თითქმის ერთი და იგივე მეორდებოდა. ეს კია, ისევ მოუხშირეს ერთმანეთის ნახვა. გიორგი ყოველ შემთხვევას იყენებდა, როგორმე ენახა ნადეჟდა. ხან წიგნს მოიმიზეზებდა, ხან თეატრს ხან ლექციას. ერთი რამ აკვირვებდა.

— საოცარია, ღმერთმანი, წინად სალაპარაკო საგანი არ გამომლევია, არ მიძებნია, ახლა კი ვძებნი სალაპარაკო საგანს და ვერ მიპოვნია. პირდაპირ ვერაფერი გამიგია: ერთმანეთს ვეტანებით და ორივენი თითქმის სულ ჩუმადა ვართ.

გავიდა ორიოდე თვე: გიორგისათვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ სიყვარულს ახლა რომანებში კი არა, პირისპირ შეხვდა: ნადეჟდა გაგიჟებით უყვარდა. უკვე მოთხოვნილება დაებადა, ეთქვა ქალისათვის ის, რასაც აგერა რამდენი ხანი იყო გრძნობდა და ფიქრობდა. მაგრამ მხოლოდ ახლა, როცა თავისი გულის ნადების გამომჟღავნება დააპირა, თვალში ეცა სხვა და სხვაობა ეროვნების მხრით.

— კარგი, უთხარი ნადეჟდას ყველაფერი; თანამგრძნო. დავიწყეთ ერთად ცხოვრება, გვეყოლა შვილები. ჩემი ცოლი რუსი იქნება, მე ქართველი. როგორ უნდა გავზარდოთ შვილები? მოვახერხებ ქართველად გაზრდას, გადაგვარების თავიდან აცილებას? აი, ხომ ვიცნობ ბევრს სულით და გულით ქართველს, რუსის ქალთან შეუღლებულს. ზოგი იმათგანი ცნობილი საზოგადო მოღვაწეც არის, შვილების აღზრდა ქართულად ჰსურვებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია დედის წყალობით.

ეს საკითხი დიდხანს არ ასვენებდა, საქმე საყოყმანებლად გაეხადნა, მაგრამ ბოლოს გადასწყვიტა, საშიში არაფერია, სიმტკიცეს გამოიჩენდა და სხვებს არ დაემგზავსებოდა. მით უმეტეს, რომ ნადეჟდა მოსიყვარულეა ქართველებისა.

— სურვილიც ხომ გამოსთქვა რამდენჯერმე ქართული ენის შესწავლისა, ერთად რომ დავიწყებთ ცხოვრებასა, უფრო ადვილად შეისწავლის. ხომ არიან ისეთებიც მართალია ძალიან მცირეა მათი რიცხვი, რომლებიც ახერხებენ შვილების ქართულად აღზრდას. დაიმშვიდა გიორგიმ გული ამ მხრით და დაემზადა სათქმელად. სამჯერ მივიდა ამ მიზნით ქალთან და სამჯერვე ისეთმა მღელვარებამ შეიპყრო, ისე შეუშფოთდა გული და ხმამ ისეთნაირად დაუწყო კანკალი, რომ კრიჰა შეეკრა, ვერაფერი უთხრა.

— დასწყევლა ღმერთმა, თითქოს მშიშარა და მხდალი კაცი არა ვარ და ახლა რა მემართება, ვერ გამიგია, ნუ თუ ჩემი გრძნობის გაზიარება ვერ უნდა მოვახერხო ჰფიქრობდა გაბრაზებული. გაზაფხულის ერთს საღამოს გიორგიმ სთხოვა ქალსა ქალაქის განაპირად, მინდორზე გასეირნება. ახლა კი საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ყველაფერს ეტყოდა. უკვე მინდორზე იყვნენ. დააპირა თქმა თუ არა, ვაჟს ჭირის ოფლი დაესხა. ძალა რომ დაეტანეთავისთვის—გაიფიქრა:

— აიმ თხრილს რომ გავცდებით, უეჭველად ვეტყვიო.

იმ მინდორზე ზედი-ზედ მიყოლებული იყო ხუთიოდე თხრილი. გასცდნენ პირველს თხრილს—ვერ უთხრა. სულ ერთიანად დაება ენა და გულმა საშინელი ბაგა-ბუგი დაუწყო.

— აი მეორეს რომ გავცდებით, მაშინ კი უეჭველად ვეტყვიო.

ვერც მაშინ უთხრა. თითქმის სულ ჩუმად იყვნენ. ხან და ხან წამოისროდნენ თითო-ოროლა სიტყვას, რომ უხერხული სიჩუმე რითიმე დაერღვიათ.

— მშვენიერი საღამოა, არა?

— ჰო, ძალიან კარგი საღამოა.

— წლეულს გაზაფხული საზოგადოდ ძალიან ადრე დადგა; გაზეთებშიაც სწერია...

---

*) იხ. სურათებიანი დამატება № 145.

— მეც წავიკითხე... ყველგან ადრე დამდგარა, იცოდნენ რომ ჰყალბობდნენ: იმ ჟამად არც გაზაფხული იზიდავდა იმათ გულის-ყურს, არც საღამოს სიმშვენიერე, მესამე თხრილს რომ გასცდნენ, მაშინ კი მოიკრიბა გიორგიმ უკანასკნელი ძალ-ღონე, უსაყვედურა თავის თავსა, „სირცხვილია სხვა არა იყვეს რაო", დასძლია გულის ძაგა-ძუგი და მიუბრუნდა ქალსა:

— ცოტა ხანს დავისვენოთ.

ქალმა თვალის დახამხამებაზე მოიკალათა და ბალახს დაუწყო ძიძგნა.

ვაჟიც შორი ახლოს დაჯდა. გეგმა წინდაწინვე დაელაგებინა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ ყველაფერი აერ-დაერია, დაავიწყდა. წინ ქუდი ჩამოიფხატა, ნადეჟდას ცალი მხარი შეაქცია, ბლომად, მაგრამ ჩუმად შეისუნთქა ჰაერი და რაც ენაზე მოადგა, ისა სთქვა.

— არ ვიცი... მიხვედრილი ხართ თუ არა, რაც უნდა გითხრათ... ნადეჟდამ ბალახს ძიძგნა მოუხშირა.

— საქმე ის არის რომა... ჰმ, ეს რამდენიმე ხანია, რაც თქმას ვაპირებ, ისე ალარ გიცქერით, როგორც... როგორც, მაგალითად, ჩვენი გაცნობის პირველს ხანს.. თანახმა ხართ თუ არა? მოუჭრა მოკლედ სიტყვა.

— თანახმა ვარ.

ისეთის მოულოდნელის სისწრაფით გათავდა ყველაფერი, რა-საც გიორგი ამდენი ხანი იყო აპირებდა, რომ არ იცოდა. რა ექნა, რა ეთქვა.

თავი სიზმრად ეგონა. ჰგრძნობდა, რაღაცა ცვლილება მოხდა, მაგრამ ჯერ კიდევ რიგიანად ვერა გაეგო რა ბოლოს აიღეს თავი ორივემ, შეხედეს ერთმანეთსა და გაიღიმეს. გაღიმების მეტი ვე-რაფერი მოახერხეს. ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ. მერე ნელ-ნელა ენა ამოიდგეს...

თითქმის დაღამებული იყო, რომ წასასვლელად წამოდ-გნენ.

საღამო მართლაც მშვენიერი ყოფილიყო და ამ მშვენიერების მომნიჭებელი მთვარეც მთელის თავისი სისრულით და სილამაზით გაბადრულიყო. დამდნარს ვერცხლში ამოვლებულს მთვარის სხი-ვებს ისეთი ნაზი შუქი მოეფინა არე-მარესათვის, რაც უნდა გრძნო-ბა გამოფიტული ადამიანი ყოფილიყო, გულს ტკბილად აუძგე-რებდა.

ერთმანეთის მოსიყვარულენი, ერთმანეთის მოტრფიალენი ქა-ლი და ვაჟი მიდიოდნენ ნელა და ტკბილის ბაასით. გიორგი სრუ-ლად გრძნობდა სიყვარულსა. საყვარელი არსების სიახლოვე ნეტა-რებით უმსჭვალავდა გულსა. ნადეჟდა უყვარდა; იცოდა, ნადეჟდა-საც უყვარდა და ეს საკმარისი იყო ამგვარის ნეტარებისათვის.

ვაჟს თავისდა შეუმჩნევლად მოეძებნა ქალის ხელი.

— ნებას მომცემთ შეეკითხა და მაღლა ასწია იმისი ხელი. ხმა არ გასცა. გიორგიმ ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. ქალი ვაჟს მიეკ-რო და თავი იმის გულზე დამალა. გიორგიმ მარჯვენა მკლავი ისე მჭიდროდ შემოხვია წელზევით, რომ ხელის თითები ქალის თბილს მკერდს მიეწება, მარცხენა ხელით თავი გადაუწია და იმის გახუ-რებულს ტუჩებს თავისი ტუჩები შეუხორცა.

როგორც ნამდვილი მთვრალი ისე გახდა გიორგი. არაფერს გაეგებოდა, მხოლოდ გრძნობდა, იმის გულზე მიყრდნობილის ნა-დეჟდას, მთელი სხეული ახლად გამოღვიძებულის ქალობის გრძნო-ბისაგან და ქალწულის მორცხობისაგან თრთოლას აეტანა.

ვაჟს იმ ღამეს ოთახში ლამპარი არ აუნთია; ფანჯარა გამოა-ღო, დაჯდა და დიდხანს გაჰყურებდა გარედ. უცქერდა ცას, იმისი კოცნის მოწმე მთვარეს და ცის კამარაზე ჩირაღდნებსავით ანთე-ბულს ვარსკვლავებს.

ტკბილი იყო გიორგისათვის ის ღამე და ტკბილის ოცნები თაც ითრობდა თავსა მუდამ თვალწინ მდგომ ნადეჟდასთან. გათე-ნებამ რომ მოატანა, ოცნებით მოქანცული გიორგი წამოდგა, ტა-ნისამოსის ამარა მიწვა ლოგინზე და განვლილ საღამოსავით ტკბი-ლის სიზმრებით სავსე ძილს მისცა თავი.

(შემდეგი იქნება).

ვ. ეგნატაშვილი.




ალმასრულებელი კომიტეტი და ძველი წესწყობილება.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.